ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის #25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.008.053) განსახორციელებელი საპროექტო ობიექტის მომიჯნავედ არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ახალი მშენებლობის შესაძლო ურთიერთგავლენის დადგენა

კვლევითი ნაწილი

ექსპერტიზაზე განხილულია ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის #25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 01.17.11.008.053) ახალი საპროექტო შენობის მომიჯნავედ არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და ახალი მშენებლობის შესაძლო ურთიერთგავლენის საკითხი.

საკვლევი არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ჩატარდა 2018 წლის 6 სექტემბერს. შენობის და ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლა მოხდა ვიზუალურად (დათვალიერებით), არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციით.

შენობა წარმოადგენს სწორ რელიეფზე განლაგებულ ერთსართულიან კარკასულ სამრეწველო ტიპის ნაგებობას. მზიდი კონსტრუქციები (სვეტები, რიგელები, სახურავის ფილები) შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებით. ვიზუალური კვლევის დროს შენობაზე მნიშვნელოვანი სახის დაზიანებები (არათანაბარი ჯდენა, დიდი ზომის ბზარები, გადახრა და ა.შ.) არ დაფიქსირებულა, შესაბამისად შეძლება ითქვას, რომ შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ახალი საპროექტო შენობის შესაძლო ურთიერთგავლენის განსაზღვრისათვის ჩატარდა შესაბამისი გაანგარიშება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა პროექტის არქიტექტურულ ნაწილში მიღებული საპროექტო გადაწყვეტები - ახალი შენობა არსებულთან ეწყობა 5.0 მ-იანი დაშორებით, კარკასი მსუბუქია - კარკასის მზიდი ელემენტებად მიღებულია ლითონის ნაგლინი პროფილები, რომლისგან ფუძეზე დატვირთვის გადაცემა ხდება შეყურსულად - წერტილოვანი საძირკვლების საშუალებით.

ჩატარებული ანგარიშით მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ საპროექტო შენობის საძირკვლებიდან ძაბვების გადაცემა ხდება უშუალოდ საძირკვლის სიახლოვეს (2.0-2.5 მ რადიუსზე) არსებული გრუნტის მასივზე და მასში წარმოშობილი დეფორმაციები არ

აჭარბებს ნორმატიული დოკუმენტაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ანუ ჩატარებული ანგარიშის მიხედვით დგინდება, რომ ჩასატარებელი სამუშაოები უარყოფით გავლენას ვერ ახდენს მომიჯნავედ არსებულ შენობაზე - წარმოშობილი დეფორმაციები დასაშვებ ზღვრებშია. ამასთან შენობა მოცილებულია არსებულ შენობას ≈ 5.0 მ მანძილით, რაც დამატებითი პირობაა შესაძლო ურთიერთგავლენის გამოსარიცხად.

თუმცა ვინაიდან არსებულ შენობის მომიჯნავედ ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ურთიერთგავლენის საკითხის გასაზღვრა საინჟინრო თეორიული კუთხით მრავალკომპონენტიანი ამოცანაა და მეტწილად დამოკიდებულია ისეთ საწყის მონაცემებზე, როგორებიცაა საპროექტო ტერიტორიის ამგები გრუნტების მახასიათებლები, არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა, სამუშაოების თანმიმდევრობა და სხვ., მხოლოდ გაანგარიშებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არასაკმარისია, მოცემულ შემთხვევებში როგორც წესი, საჭირო ხდება არსებულ შენობაზე სისტემატური მონიტორინგის და დაკვირვების წარმოება, როგორც მშენებლობის დაწყებამდე, ასევე უშუალოდ მშენებლობის პროცესში, რაც თავის მხრივ მოიცავს:

I. მომიჯნავედ არსებულ შენობის კონსტრუქციებზე ყალაურების (სპეციალური მანიშნების) მოწყობას გრუნტის სამუშაოებისა და სამშენებლო ტექნიკის შესაძლო ზემოქმედების დასადგენად;

II. მიღებული დაკვირვების შედეგების ასახვას საპროექტო და მომიჯნავე შენობის წარმომადგენლების მონაწილეობით შედგენილ სპეციალურ ჟურნალში.

საჭირო და აუცილებელია აღნიშნული ღონისძიებები შესრულდეს უშუალოდ მშენებლობის დაწყებამდე, რათა დაკვირვებით მიღებული შედეგები ანუ ის შესაძლო გავლენები, რომლებიც დამოკიდებულია ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებითა და ტექნოლოგიური პროცესებით, განსაზღვრული და გათვალისწინებული იქნას მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოების პროექტში;

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება საჭიროა ასევე იმ მიზნითაც, რომ მშენებლობის პერიოდში შესაძლო გამოვლენილი დაზიანებების შემთხვევაში, დროულად მოხდეს სათანადო რეაგირება, მაგალითად სამშენებლო პროცესის ტექნოლოგიის შეცვლა, დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიების გატარება და სხვ.

ზოგადად მშენებლობა უნდა წარიმართოს სათანადოდ დამუშავებული „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის“ და „მშენებლობის წარმოების პროექტის“ მიხედვით, რა დროსაც საჭირო იქნება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57

დადგენილებაში მოცემული მოთხოვნების დაცვა - მშენებლობის პერიოდში მომიჯნავე შენობაზე მონიტორინგის წარმოება.

დასკვნა

ამრიგად, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის #25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 01.17.11.008.053) ახალი საპროექტო ობიექტის მომიჯნავედ არსებული შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მიხედვით ახალი შენობის განხორციელების შემთხვევაში, ექსპლუატაციის პერიოდში მომიჯნავედ არსებულ შენობაზე არ იქნება უარყოფით გავლენა, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მშენებლობის პერიოდში მშენებლობის ტექნოლოგიით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით გავლენის საკითხს, აუცილებელია მშენებლობის პროცესის წარმოება სათანადოდ დამუშავებული „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის“ და „მშენებლობის წარმოების პროექტის“ მიხედვით, აგრეთვე მოქმედი ნორმებისა და მათ შორის საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად მომიჯნავედ არსებულ შენობაზე სისტემატიური დაკვირვების წარმოება.

მშენებელ-კონსტრუქტორი
ექსპერტი

საბა პაპაშვილი

s.papashvili@cubicon.ge



ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2

ექსპერტის მონაცემები

GEORGIA

DIPLOMA AA № 0016417

Mr. Saba Papashvili R.
enrolled in 1993 in Georgian Technical University
and in 1997 graduated the full course of The Faculty of Civil Engineering of the above-mentioned University
specializing in the field of Industrial and Civil Engineering

By the Decision of the State Examination Commission of December 18, 1997
Mr. Saba Papashvili R. was awarded the qualification of Civil Engineer, the Degree of Bachelor

Rector

Chairman of the State Examination Commission

Seal

Dean

City Tbilisi February 6, 1998

Registration No 0199 **Registrar** Gvasalia

საქართველო

დიპლომი AA № 0016417

საბა როინის ძე პაპაშვილი
1993 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
და 1997 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ინჟინერ-სამშენებლო
ფაკულტეტის სრული კურსი
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1997 წლის
„18" დეკემბრის გადაწყვეტილებით
ს.რ. პაპაშვილს მიენიჭა სამოქალაქო ინჟინრის, ბაკალავრის ხარისხი, ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

დეკანი

ქალაქი თბილისი 6.02 1998 წ.

სარეგისტრაციო No 0199 **რეგისტრატორი** გვასალია


GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
საბა
SABA
გვარი / LAST NAME
პაპაშვილი
PAPASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01009007510
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.04.1976
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.02.2023
ბარათის No / CARD No
12IC67441
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.02.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IC67441101009007510<<<<
7604072M2302074GE0<<<<<<<<<<<7
PAPASHVILI<<SABA<<<<<<<<<<<<<<

CV(პირადი მონაცემები)

სახელი, გვარი: *საბა პაპაშვილი*
დაბადების ადგილი: *ქ. თბილისი*
დაბადების თარიღი: *07.04.1976*
E-mail s.papashvili@cubicon.ge
მობ: (+995599) 323 368

განათლება:

1993-1998 წ. ქ. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი სპეციალობა: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა.
დიპლომი – 1998 წ. ინჟინერ-მშენებელი.

მუშაობის გამოცდილება:

1998 -2000. ქ. თბილისის ქონების მართვის დეპარტამენტი – ვაკის რაიონული განყოფილება, წამყვანი სპეციალისტი;
2000 -2005. შ.პ.ს. "დელტაპროექტი" არქიტექტურული სტუდია. ინჟინერ-კონსტრუქტორი;
2005 -2015. შ.პ.ს. "არტსტუდიო პროექტი" არქიტექტურული სტუდია. მთავარი კონსტრუქტორი;
2015 წ-დან დღემდე შ.პ.ს. "კუბიკონი" საპროექტო-საინჟინრო სტუდია. დირექტორი/მთ. ინჟინერი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული (მეუღლე და სამი შვილი)

კომპიუტერული პროგრამები:
AutoCAD, LIRA-Windows, Monomax, SCAD office, ArchiCAD, საოფისე პროგრამები.

ენები: *ქართული(მშობლიური), რუსული; ინგლისური;*

ბოლო 5 წლიწადში ჩემს მიერ დაპროექტებული იქნა: 50-დე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი (დაახლ. 120 ათასი კვ.მეტრი სამშენებლო ფართობი); 20-დე საცხოვრებელი ობიექტი (დაახლ. 100 ათასი კვ.მეტრი სამშენებლო ფართობი); 60-დე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მცირე ობიექტი. მონაწილეობა მაქვს მიღებული სხვადასხვა შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტირებაში მათ შორის მიწსძვრით დაზიანებული სახლების, აგრეთვე "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" პროგრამაში შემავალი სახლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტირებაში.

იხ. დანართი.

სამუშაო გამოცდილება (არასრული სია): – რეალიზირებული პროექტები (დასრულებულია მშენებლობა)

- **საზოგადო დანიშნულების ობიექტები:**

2005წ. წყნეთი - სასტუმრო-რესტორანი "კოპალა"; ქ. **ფოთი** - კოლხეთის ეროვნული პარკი – ვიზიტორთა ცენტრი;
2006წ. მოსკოვი - სავაჭრო ცენტრი;
2007წ. თამარაშენში – სპორტული კომპლექსი საც. აუზებით; **თბილისი** – სავაჭრო ცენტრი ხოშარაულის ქ.-ზე; **გორი** – შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო; **ქუთაისი** – ლაზარეთი; **სოფ. ჯუგაანი** – საშ. სკოლა 400 მოსწ.-ზე; **თბილისი** – ბიზნეს ცენტრი ერეკლე II-ის მოედანზე;
2008წ. თბილისი – ბიზნეს ცენტრი ბესიკის ქ.-ზე; **სიღნაღი** – გაქრისტიანების მუზეუმი და რესტორანი; **თბილისი** – საოფისე შენობა ჭავჭავაძის 80-ში;
2009წ. თბილისი – ჰერბალიუმი ბოტანიკურ ბაღში; **თბილისი** – სავაჭრო ცენტრები გლდანში და დიდ დიღომში;
2010წ. ბაზალეთი – სასწავლო ცენტრი; **მარნეული –** გამგეობის შენობა; ქ. თბილისი, ვარდების ბაღი, ღია კინოთეატრი;
2011წ. თბილისი – აგრარული ბაზარი ოჟიოს ქ.-ზე.; **რუსთავი** – ავტოდრომი (ტრიბუნები და მრავალი დამხმარე ნაგებობა); **თბილისი** - რესტორანი ბამბის რიგის ქ.-ზე.; ქ. ბათუმი- ბეტონის ქარხანა; **თბილისი** – ბიტუმის საცავი ლილოში; **წყნეთი** "კოპალა-2"; ქ. **თელავი** – იუსტიციის სახლი; **თბილისი** – კორტები ორთაჭალაში; **ყვარელი** – მეცხოველეობის ფერმა; **საგურამო** – ზედაზენის ლუდის ქარხანის ადმინისტრაციული შენობა; **თბილისი –** რესტორანი ბელიაშვილის ქ.-ზე; **თბილისი –** სამაცივრე კომპლექსი ლილოში; **თბილისი –** სტამბა დიდ დიღომში;
2012წ. ახალციხე – რესტორანი; **ახალქალაქი** – დამხმარე შენობა-ნაგებობები რკ.სადგურზე; **თბილისი –** ბიბლიოთეკა ვარკეთილში; **თბილისი** – ჰიპერმარკეტი ჭავჭავაძის გამზირზე; **წავკისი** - დასასვენებელი კომპლექსი; **თბილისი** – იმიტირებული საბაჟო გლდანში (პოლიციის აკადემია);
2013წ. თბილისი – სავაჭრო ცენტრი ჭავჭავაძის 30–ში;
2014წ. თბილისი – სავაჭრო ცენტრი ბელიაშვილის ქ.ზე, ყოფილი მანქანების ბაზრობის ტერიტორია (მიმდინარეობს მშენებლობა); **თბილისი –** რესტორანი კუს ტბის გზაზე;
სოფ. ლამბალო – საშ. სკოლა 1000 მოსწ.-ზე (მიმდინარეობს მშენებლობა);

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები:**

2005წ. თბილისი - საცხოვრებელი სახლი აბაკელიას ქ.-ზე;
2006წ. თბილისი – საცხოვრებელი კომპლექსი "პაპლეის 2" ბაგებში; საცხოვრებელი კომპლექსი ვეზიროვის ქ.-ზე.
2007წ. თელავი - საცხოვრებელი სახლი ნადიკვარზე; თბილისი - საცხოვრებელი კომპლექსი "სახლი ოპერასთან" ბროსეს ქ.-ზე; თბილისი – საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის 11ა-ში; **თბილისი** - საცხოვრებელი კომპლექსი ყიფიანის ქ.-ზე; **თბილისი** – სოციალური სახლები ვარკეთილში;
2008წ. თბილისი - საცხოვრებელი სახლი "პარკსტრიტი" (ა) ბლოკი, ბაგებში; **თბილისი** – საცხოვრებელი სახლი გრიშაშვილის ქ.-ზე;
2009წ. თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი, II-III სართულიანი სოციალური სახლები; **წყალტუბო, ფოთი, ზუგდიდი, ბათუმი** – IV-V სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსები;
2010წ. თბილისი - საცხოვრებელი სახლი "პარკსტრიტი" (ბ) ბლოკი, ბაგებში;
2011წ. თბილისი – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში (ც ბლოკი); **თბილისი** - საცხოვრებელი სახლი ვირსალაძის ქ.-ზე

2012წ. **თბილისი** – სტუდენტური დასახლება დიდ დიღომში; **თბილისი** – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში (ბ ბლოკი);
2013წ. **თბილისი** – 22 სართულიანი სახლი ჭავჭავაძის 30–ში (მიმდინარეობს მშენებლობა)
2014წ. **თბილისი** – 8 სართულიანი საცხ. სახლი ონიაშვილის ქ.-ზე; **თბილისი** – 9 სართულიანი საცხ. სახლი სოფელ დიღომში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარე ტერიტორია; **თბილისი** – 11 სართულიანი საცხ. სახლი სოფელ დიღომში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარე ტერიტორია (მიმდინარეობს მშენებლობა); **თბილისი** – 5 სართულიანი საცხ. სახლი მეგრელიძის №18-ში (მიმდინარეობს მშენებლობა); **თბილისი** – 4-5 სართულიანი საცხ. კომპლექსი მთაწმინდის №14-ში;
2014წ. ზუგდიდი – 5 სართულიანი 8 სახლიანი საცხ. უბანი დევნილებისტვის (მიმდინარეობს მშენებლობა); – 10 სართულიანი საცხ. სახლი ნუცუბიძის IV მ.რ (მიმდინარეობს მშენებლობა);

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:**

2005-2014 წ.-ში 50 - მდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;

- **რეკონსტრუქციები:**

2010წ. თბილისი – აღმაშენებლის გამზ. "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" 15 საცხოვრებელი და საზოგადო შენობა; **თბილისი** – "თბილისი ცენტრალი" (რკინიგზის სადგური)
2011წ. ბათუმი – კინოთეატრი "აპოლო"; **თბილისი** – ექსპერტიზის ბიურო დიღომში; **თბილისი** – ავტოსერვისცენტრი დიღომში;
2012წ. თელავი – ბატონის სასახლე; **თბილისი** – გუდიაშვილის მოედანი (საცხოვრებელი სახლები); თბილისი – ილიაუნი "ბ" და "ც" ბლოკები; თბილისი - სასტუმრო "კოპალა" რიყეზე; **ბაკურციხე** – სარაჯიშვილის მუზეუმი;
2013წ. თბილისი - აგრარული უნივერსიტეტის რეკონსტრუქცია;
2014წ. ქუთაისი - ყოფილი კლინიკური სავადმყოფოს რეკონსტრუქცია; **კასპი** - ყოფილი სავადმყოფოს A და B ბლოკების რეკონსტრუქცია; **ბორჯომი** - ყოფილი სამშობიაროს რეკონსტრუქცია;

შენიშვნა: აღნიშნული ობიექტების პროექტირებაში ჩართული ვიყავი როგორც პრ. მთ. კონსტრუქტორი

საბა პაპაშვილი – მშენებელ-კონსტრუქტორი
19.05.2014